დასკვნა:**დ10. 3723360001**
თარიღი:**26/12/2023**

დასკვნა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის

ბიუჯეტის პროექტზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ -მ განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის საბიუჯეტო განაცხადის კორექტირებული პროექტი და დაადგინა:

1. საბიუჯეტო განაცხადის პროექტი, როგორც მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის მთავარი ფინანსური დოკუმენტი, წინა პერიოდთან შედარებით მაქსიმალურად არის ორიენტირებული ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილების თვისობრივად განსხვავებული მაღალი ხარისხის მატერიალური კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე.

2. მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის კორექტირებული პროექტი სრულ შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად მუნიციპალიტეტის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებზე.

   მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ზრდა უფრო მეტია ბიუჯეტის პროექტის გათვალისწინებული , ვიდრე ეს არის დადგენილი ქვეყნის მასშტაბით.

3. 2024 წლის ბიუჯეტის კორექტირებული პროექტით განსაზღვრული განსახორციელებელი პრიორიტეტების პროგრამები, ქვეპროგრამები სრულად ითვალისწინებს პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წინასაარჩევნო დაპირებების უპირობოდ შესრულების უზრუნველმყოფი ღონისძიებების განხორციელებას. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის განვითარების 8 პუნქტიანი გეგმის შესრულება ეჭვს არ იწვევს და აუცილებლად შესრულდება.

4. ბიუჯეტის პროექტთან მიმართებით საკრებულოს მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისების მიერ დაფიქსირებული შენიშვნები, წინადადებები და რეკომენდაციები ბიუჯეტის კორექტირებულ პროექტში ძირითადად გათვალისწინებულია. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის 2024 წლის

ბიუჯეტი ფრაქციის მიერ რეკომენდირებულია საკრებულოს სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

მარიკა ჩხიკვიშვილი

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო''-ფრაქციის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი